საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №2
2025 წლის 17 იანვარი

ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007 წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ:

1. დანართ №2-ში შეტანილ იქნეს ცვლილება და ამოღებულ იქნეს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველები:

„1241	4881	ა(ა)იპ — თეთრიწყაროს სპორტული სკოლა“;
1243	4883	ა(ა)იპ — თეთრიწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი;
1244	4884	ა(ა)იპ — „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და საბიბლიოთეკო დაწესებულებების გაერთიანება — კულტურის ცენტრი;
„1248	4888	ა(ა)იპ — თეთრიწყაროს სამუსიკო სკოლა;
1249	4889	ა(ა)იპ — თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მანგლისის სამუსიკო სკოლა;
1250	4890	ა(ა)იპ — თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლა“.“

2. დანართ №3-ში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდის - 3559 - „შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო მეზღვაურთა შრომის, განათლებისა და სერტიფიცირების სფეროებში“ შემდეგ დაემატოს შემდეგი ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდი:

„შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო საავტომობილო დარგის ინსპექტირებიდან	3560“.“

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ლაშა ხუციშვილი**